07
ო-32

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რობინზონ ოდიკაძე

სამაჩაბლოს ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრება და პრესა (1990-2005)

10.01.10 – ჟურნალისტიკა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. გორში) ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — **სოსო სიგუა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

ოფიციალური ოპონენტები: 1. **დიანა ტყემბუჩავა**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.01.10)

2. **მარიამ თავამაიშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.01.10)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის „27" I
13.30 „____" საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის (p10.10.№4) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის „23" XII

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი /ნ. ტაბიძე/

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

-2052-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ცხინვალის რეგიონული პრესა, როგორც ერთიანი ქართული მასმედიის ორგანული ნაწილი, ყოველთვის მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების ცენტრშია. დღეს, როგორც არასდროს, რეგიონის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა, ობიექტურად გააზრება და მეცნიერულ დონეზე შეფასება, მისი მნიშვნელოვანი როლის განსაზღვრა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკათმცოდნეობაში განსაკუთრებით აქტუალურია.

საკვლევი თემის აქტუალობას განაპირობებს ჩვენი ქვეყნის ამ თვალმარგალიტ კუთხეში არსებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ქართულ მასმედიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის, თავისუფალი პრესის დამკვიდრების, „დეცენტრალიზაციის" უცილობელი პროცესები. უპირველესად, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული პრესის ისტორიის იმ პერიოდის შესწავლასა და გამომზეურებას, რომელშიც გამჭვირვალედ აისახა დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავება, რის გამოც, სამწუხაროდ, ათასობით უდანაშაულო ქართველი და ოსი დევნილად იქცა.

საყურადღებოა ქართული მასმედიისა და, კერძოდ, ცხინვალიდან დევნილ ჟურნალისტთა მზარდი ინტერესი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი, მათი ძალისხმევით გორში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაფუძნება-ამოქმედება. პროფესიული კადრების აღზრდის მიზნით კი ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. გორში) ჟურნალისტიკის ფაკულტეტის შექმნა.

კვლევის საგანი და მიზანი. საკვლევი თემა მოიცავს ცხინვალის რეგიონის პრესის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს (XX საუკუნის 90-იან წლებიდან — 2005 წლამდე), რომელსაც კონფლიქტურს ვუწოდებთ. ნაშრომი აერთიანებს ყოფილ საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთს", ხელნაწერ ჟურნალებს („ლიახვი", „აისი", „რიჟრაჟი"), დევნილობისას გორში დაფუძნებულ ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლს" და ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურულ ცხინვალს".

სამაჩაბლოს პრესაზე, კონკრეტულად, გაზეთ „საბჭოთა ოსეთზე" მოგვეპოვება სხვადასხვა დროს შესწავლილი და გამოქვეყნებული მასალები. ამ მასალების ერთი ნაწილი, „საბჭოთა ოსეთი" — 50" (ო. ესიაშვილი),